შინაური საქმეები

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 28.

ქუთაისი, დეკემბერი 7, 1908 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.
ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: სიტყვა აკაკის იუბილეს დღეს—ეპისკოპოსი ლეონიდისა; საიუბილეოა და მისი უარის მყოფელნი ჩვენში—სეფიელელისა; გაგონილი იგავ-არაკი—კირილე წუთისოფელელისა; შეუძლებლობა სოციალიზმისა (გაგრძელება)—ნაცარყანელისა; განშორებული (ლექსი)—ონოფრე მწერისა; ვუძღვნი ქართული ლიტერატურის მანათობელს, საყვარელ მგოსანს აკაკს—მღვდელი ბესარიონ ეაშაძისა; ზნეობრივი გადაგვარება—ე. ჩ—ძე-სა.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ჟურნალის წლიური ფასი.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (სიბერთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და სეფარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კაპ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

სიტყვა აკაკის იუბილეს დღეს.

გახარებული, ბედნიერი და ნეტარია დღეს ჩვენი საამშობლოს თვითეული ქალაქი. ბრწყინვალედ დღესასწაულობს და მხიარულობს დღეს საქართველოს დაბა და სოფელი. აგერ მთასაც გაუსხნია თავისი ჩათხრობილი გული და მხიარულობს თავისებურათ, როგორც ლაშრობას და თამრობას. რადაც ბრწყინვალე, მეტად მოთმინ და მაცოცხლებელი მზის თვალი დასდგომია დღეს საქართველოს ზედამოს და ამას აუმორავებია მთა და ბარი, ამას აღუმრავს საამსიარულოთ მოსუცისა და ჭაბუკის გული. „ბრძოლოცია აკაკის იუბილე,“ „გასარეს აკაკის დღეს,“ „აკაკი გვიცოცხლოს უფალმა.“ ეი რა გაისმის დღეს საქართველოს ყველა კუთხეში, ეი რას ულოცავს დღეს ქართველი ქართველს მსგავსად „ქრისტე აღსდგა“-სი! სულ მცირედაც გაგებულ ქართველს, თუ კი მას ოდნავ მაინცაა კიდევ ეტყობა ადვილი ცხოველის წმ. მირონი, აკაკის ერთი სახელის გაგონება სიამოვნებით ულელვებს გულს, სისარულის შუქით უბრწყინვებს სახეს და საამო სითბოს ჭბადებს მისს მარღვებში. ყველანი ვამაყობთ ამ სახელით, მისი წარმოთქმით ყველანი ვიზრდებით საკუთარ თვალში, მისი სმენრად გამეორება ყველას გვიმატებს საკუთარ ღირსების შეგნებას.

[illegible] ეს მოუპო-

ებია ესოდენი სიუვარული ერისა, ვისაც თანამეამეულენი ფიანდაზად უშლიან თავიანთ გულს, ვისი სასელითაც ასე თავმოწონობს მშობელი ერი!

დაკეტილ სასასლეში ვერ შესვალ, თუ �i არ გაალე შესაფერი გასაღებით. ხალხის გული ძნელი მოსაგებია, იგი ცხრა კლიტით დაკეტილი ციხე-კოშკია და მეტად იშვიათ რჩეულებს არგუნებს ხოლმე უსენაესი განგება ამ ციხე-კოშკის სასყულებრივ გასაღებს. რომელი საშუალებით მიაკვლია აკაკიმ ქართველი ერის გულამდე? რა ჰქვია იმ ძალას, რომლის მეოსებითაც იუბილარმა კიდეც გაალო და კიდეც დაემკვიდრა, საბინადრო ტახტი დაიდგა ამ ციხე-კოშკში?

გულანდილი და დაუფარავი, წრფელი და უანგარო, გაბედული და მოურიდებელი, მტკიცე და შეუდრეკელი, შეგნებული და ნათელაზრიანი თავდადებითი უსაზღვრო სიუვარული მშობელი ერისადმი—აი ჩვენი შესედულობით, აკაკის მოღვაწეობის ძლევამოსილობის უმთავრესი მიზეზი, აი ის ძალა, რომელმაც ეურამდე აიყოლო ბედნიერ იუბილარს ერის გული და რომელმაც შექმნა იგი ერის სათაყვანებელ მგოსნად.

გულისაკლავ და საგალალო სანახაობას წარმოადგენდა ქართველობა, აკაკი რომ შექურ ვარსკვლავად ამოუბრწყინდა ქართველი მწერლობის ასპარეზს. მეტად ბირქეში და უკულმართი ბირობები იყო გამეფებული მაშინდელ ქართველობის ცხოვრებაში. სოფელი, ანუ მშრომელი ნაწილი ერისა, ცხრა ნაირათ იყო გაღეული წელში სხვა და სხვა ბეგარა და სარგებლის გადახდის სიმძიმით, ვინ იცის ვის სასარგებლოდ. მას თავი ვერ აეღო მაღლა ლუკმა პურის საპოვნელად განუწყვეტელი შრომიდან და მის ცხოვრებას, მოცულს სიბნელით და უვიცობით ბევრი არა ეტყობოდა რა ადამიანური. არც მეორე,—შემლებული და გავლენიანი ნაწილი წარმოადგენდა უკეთეს სურათს. დასახელებული წრის წარმომადგენლების უმრავლესობას დავიწყებული ჰქონდა თავისი ვინაობა, აღარ ახსოვდა მამა-პაპათა კეთილი ზნე-სასიათები და მოქალაქობა, არა სწამდა ქართული მწიგნობრობა, გულაცრუებული იყო უველაფერ ქართულზე იქამდე, რომ ქართულად ლაპარაკსაც კი უკადრისობდა. გზა დაბნეული, ბილ ბაქსუებული იგი იდგა გადაგვარების, გადაშენების, უცხო ერში გაქნა-გათქვეფის გზაზე.

აი ასეთი უკულმართობის საწინააღმდეგოდ გმირულად ამოუდგა გვერდში აკაკი ბუმბერაზ ილიას და დღეგანდლამდე სასელოვნად განაგრძობს თავის შეუდარებელ მამულიშვილურ მოღვაწეობას. აღტეინებულმა წინასწარმეტყველებრივი სიუვარულით სამშობლოსადმი, საღლის წასაქეზებლად, მისი გრძნობის მოსაზიდად და ეროვნული შეგნების აღსაზრდელად, აკაკიმ იწყო თავისებური სულში ჩამძრომი, ნიავივით სუბუქი, ამაფეთქებელი, ცეცხლის ალის მომდები, საოცნებოთ მოქარგულ-დაფერადებული, დამატყვევებელი და

მთლიანი მომხიბლავი სილამაზით აღვსილი შაირ-ლექსების შემწეობით აძოლაგება საქართველოს დიდებული ჩვენი წინაპრების წასაბაძი ზნე-ხასიათების და მოქალაქობის იმგვარი მაგალითებისა. აი ვისი ჩამომავლები ვართ, აი რა კაცების სისხლი გვიდგია ძარღვებშიო, ჰქუსდა აკაკი და თან დასძენდა უნდა უსათუოდ ისევ აღვიჭურნეთ მამა-პაპეული მაღალი სასიათებით, უნდა ისევ აღვადგინოთ მათი სამაგალითო ჩვეულებები და მათებრ კაცურად მოვაწეოთ ჩვენი მოქალაქობაო. საფერავის ვაზმა საფერავი უნდა მოისხას. მაშ მაღლა ავიღოთ თავები, შორს ჩვენგან გულის ვატეხა, შორს ლაჩრობა და მონობა, შორს ჩვენგან სხვათა მოჯამაგირობა! რას ჰქვიან ქართველი მწიგნობრობის აბუჩად აგდება და არარად დასახვა, როდესაც ამ მწიგნობრობას ბურჯად უდგანან ღვთისაგანაც და კაცთაგანაც ცნობილნი და დიდებულნი ივანე, ექვთიმე, გიორგი, უკვდავი შოთა, შავთელი, ჩახრუხაძე და სხვები? ან რა შვილია ის ქართველი, ქალი იყოს თუ გინდ კაცი, რომელსაც სანატრელად და სასიქადულოდ არა აქვს მიმხნეული მსჯელობა, ფიქრი და ლაპარაკი იმ ენაზედ, „რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა, ქეთევან ღ მერთს ადიდებდა და წმ. ნინო ქრისტეს ჰქადაგებდაო“? მვირფასი და ორიგინალური საუკარელია ჩვენი საამბობლო. საქართველო მთელი სამეარეოს თვალია; იგი ერთად ერთი კუთხეა ქვეყნისა, სადაც ღმერთს დაუბერტყია მთლად თავისი უხვი კალთა, რომელიც შეუმკვია საუცხოო მთა და ბარით, შეუზავებია საუკეთესო ჰაერით და დაუსატავს საოცნებო მშვენების მოსაზულობით. თუ გვშიან და გვწყურია ასეთ ქვეყანაში, თუ რამე გაჭირვებას განვიცდით ასეთ კურთხეულ ბუნების კალთაზე, ეს ამ ქვეყნის ბრალი არ არის. ვისწავლოთ, განვვითარდეთ, შეეიძინოთ ცოდნა, გაძოცდილება, შეეითვისოთ შეგნებული შრომა, მოძღვრნეობა, წესად გავხადოთ ყველამ საკუთარი ხელით შექმნა სიმდიდრისა, და მაშინ ყველანი გავძღებით, ყველანი თავს დავადგებით დღევანდელ ჰირუტყვულ შრომას და წელებზე ფეხის დგმას გამხმარი ბურის ლუკმის შოვნის გულისთვის, მაშინ სათაკილოდ გვეჩვენება სხვის ხელში შემაცქერლობა, ჩვენ თვითონ გავხდებით ჩვენი თავის ბატონები და მაშინ ტეუილ უბრალოდ ბუსსაც ვერავინ აგვიფრენს. ამას ჩაგვმახოდა, ამას გვიქადაგებდა, ამას გვაგონებდა. უკვდავ ილიასთან სმა შეწყობილად ბატონი აკაკი და აგერ დაუფასდა კიდეც მას შრომა, აგერ თითონვე იმეის თავის მადლიან მარჯვენით ნათესს.

რის მაჩვენებელია დღევანდელი დიდებული დღე საქართველოს ცხოვრებაში?

იმისი რომ აკაკის და მისთანა[illegible]ის მძლავრი გავლენით ქართველმა გაიღვიძა, გაიკო თავისი ვინაობა და ღირებულობა, თავი დაადგია გონებრივ სიბნელეს და მხნედ შეუდგა შრომა-განათლებას.

ამას დღესასწაულობის დღეს საქართველო, ამას უფასებს აკაკის მშრომელი

ერი, ამისთვის ეცემა მას დღეს საშინელი ადფრთოვანებული სიყვარულით.

„ხმა ერისა—ხმა ღვთისაო“! ერი უმაღლის იუბილიარს, უცილობელად უფალიც მაღლიერი იქნება მისი.

ღმერთო გვიცოცხლე, გვიკურთხე და მსნედ გვიმყოფე აკაკი!

ეპისკოპოსი ლეონიდი.

სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში *).

VI.

თუმც, როგორც წინა წერილებიდან დავრწმუნდით, ფიზიკურად ცხოველი და ადამიანი თვალსაჩინოდ განირჩევიან ერთი მეორისაგან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ესეთი განსხვავება მათი ისე საყურადღებო არ არის, როგორც მათ შორის არსებული სულიერი ანუ ფსიხოლოგიური სხვა და სხვაობა. არსებითად ცხოველსა და კაცს აშორებს ერთი მეორისაგან განსხვავება სულიერი. ამ მხრივ პირველ ყოვლისა სახეში მისაღებია სიტყვიერება, ანუ მეტყველების ნიჭი, რომელიც შეადგენს მხოლოდ კაცის კუთვნილებას.

ბუნების მეცნიერები ყველა მწერებს და ცხოველებს ასაკუთრებენ ენის მინაგვარ განსაკუთრებულ უნარს საკუთარ გრძნობებისა და სურვილების გამოსახატად. შენიშნულია, მაგალითად, რომ რაღაცა მოლაპარაკებისა, წინდაწინ გარიგებისა და პირობის დადების შემდეგ წყობილობენ ხოლმე ჰიანჭველები მტერზე გალაშქრებას და თავზე დასხმას; არა ერთხელ შეუნიშნავთ, რომ ფუნაგორიას (ნეხვის ჭიას) ჩავარდნია თავისი ტვირთი ფოსოში და რომ საკუთარი ძალით ველარ ამოუტანია იქიდან, გაფრენილა სხვაგან, შეუტყობინებია თავისი გაჭირვება მეზობლებისათვის, წამოუყვანია თან რამდენიმე და მათი დახმარებით გაურიგებია საქმე; კრუხისათვის ხომ ყველას გაიგონებია თვალი და გვინახავს, რომ იმან მშვენივრათ იცის ხმის კილოთი მიალერსება წიწილებისა და დაყვავება, მათი საჭმელზე მიწვევა, გაფრთხილება ფათერაკისაგან და სხვ. ცხოველებში ყველაზე მეტად ძაღლი უახლოვდება მეტყველების ნიჭს. ხსენებულ ოთხფეხს, როგორც ვიცით, ყეფის კილოთი შეუძლიან გამოხატოს თავისი გული წყრომაც და სიამოვნებაც, თავისი გაჭირვებაც და პატრონის განსაცდელში ყოფნაც. აქ უნებლიეთ გვაგონდება აკაკის საგულისხმიერო ლექსი, მიძღვნილი მისგან საკუთარი ძაღლისადმი:

მე რომ სევდით მიწუხს სული,
შენც გიღრინავს მაშინ გული,
წუწკუნით თვალებში მიცქერ
შენ კუდ ამოძუებული.
და, მოლხენას რომ შემატყობ,
ჩემს სიხარულს შუა იყოფ;
კუდს აქიცინებ, ნავარდობ.
ყურებს ცქვეტ, ჰყეფ და ამაყობ!

მაგრამ ყველა ეს სრულებითაც ვერ დაედრება მეტყველებას, სრულებითაც არ არის სიტყვა და თავის დღეში არ ნიშნავს ლაპარაკს. მოყვანილ ლექსში პოეტი თავის მეგობარ ძაღლს ეუბნება:

თუმც პირუტყვო, არ გაქვს ენა,
მაგრამ გშკენის კუდის ქნევით
ერთგულების გამოჩენა.

ამითი პოეტი სრული სიცხადით და გარკვევით გვასწავლის, რომ კუდის ქნევა, ყეფვა და სხვა ამისთანაები ძაღლის მხრივ არის მისი გრძნობებისა და შინაგანი მდგომარეობის გამოსაჩენ-გამოსახატი ნიშანი და არა სიტყვა. ეს ნამდვილი მეცნიერული შეხედულობაა. ანტროპოლოგი პეშელი, მაგალითად, ცხოველების სხვა და სხვა ხმაურობასა და მოძრაობას უწოდებს პირდაპირ მათი (ცხოველების) საჭიროებებისა და მდგომარეობის გამოსახატ სიგნალს. ამ სიგნალებსა, განაგრძობს იგივე პეშელი, ცხოველები ან თითონ იძენენ თავიანთი გამოცდილობით, ან ეუბულობენ მემკვიდრეობით, როგორც ინსტიქტებსა.

*) იხ. „შინ. საქმეები“ № 23.

ცხოველების ყეფას, ხმაურობას და კივილს არსად და არასოდეს არ მიუღწევია ადამიანის მეტყველებამდე, ცხოველების ხმაურობა არსად არა ქცეულა ადამიანთა ლაპარაკად.

რითი უნდა ეხსნიდეთ ამ გარემოებას? რას უნდა მივაწეროთ, რომ ცხოველი ხმაურობიდან და კივილიდან არსად არ ამაღლებულა მეტყველებამდე? იქნება ცხოველების ენა დაბმული და გაუხეშავია? იქნება მათ აბრკოლებენ მეტყველების ფიზიკურ ორგანოს ნაკლულევანებები?

არა, ამ მხრივ ცხოველებს, ადამიანებთან შედარებით, არაფერი არა აკლიათ რა; ცხოველების ენაც იმ გვარადვე მოქნილი და მოხეშილია, როგორც ადამიანისა. ან რა შუაშია ამ შემთხვევაში რეალური ენის გაუხეშაობა და ნაკლულევანება, როდესაც კარგათ ვიცით, რომ ზოგიერთა მუნჯები მშვენივრათ კითხულობენ, ე. ი. მონაწილეობას ღებულობენ ლაპარაკში, თუმცა ენა სრულებით არ უვარგათ?

დასმული კითხვა თავის თავად გაირკვევა და მისახვედრი გახდება, როდესაც გავითვალისწინებთ, რა იწვევს ცხოველთა ხმაურობას და რის შედეგია სიტყვა, ან რას გამოხატავს პირუტყვთა ხმაურობა და რის მაჩვენებელია სიტყვა.

როგორც უკვე ვთქვით, პეშელის აზრით, ყვირილსა და ხმაურობას პირუტყვები ხმაროებენ თავიანთ საჭიროებათა და გრძნობების გამოსახატავ საშვალებად. ცხოველების გრძნობებისა და სურვილების ფარგალი ვიწროთაა შეზღუდული და განსაზღვრული მათი (ცხოველების) თანდაყოლილი ინსტიკტებით, პრაქტიკული გამოცდილებით და დაკვირვებით, მხოლოდ იმისი, რაც მათ უნახავთ და თავს გადახედიათ. ამას იქით, ე. ი. გარეშე ინსტიქტისა და უბრალო გამოცდილებისა, ცხოველთა სურვილები არ მიდიან და მათ ხმაურობასაც არა აქვს საშუალება სხვა რამეს გამოთქმისა.

სულ სხვა სიტყვა. სიტყვის შინაარსი მეტად ვრცელი და ფართოა; იგი აღნიშნავს ისეთ რამეს, რაც პირუტყვების გონებას აღემატება, რაც ცხოველების სულის შინაარსს აჭარბებს და რაც [illegible] მათი ნიჭისათვის. სიტყვა შედეგია აზრისა, გონიერობისა, მსჯელობისა, ფიქრისა. პირველად კაცს უნდა დაებადოს აზრი, ჯერ უნდა ადამიანს მოუვიდეს ფიქრი, იდეა და მერე გამოითქმის იგი სიტყვით. როგორც ხის ნაყოფს აუცილებლად წინ უძღვის ყვავილი, ისე სიტყვის წინასწარია აზრი, მოფიქრება, მსჯელობა. სადაც აზრი და მსჯელობა არ არის, იქ მეტყველებას ალაგი არა აქვს. ცხოველი რომ არ ლაპარაკობს ამისი მიზეზი ისაა, რომ იგი ბუნებისაგან მოკლებულია მსჯელობის ნიჭს, გონიერებას.

ვიცით, რომ არიან მოლაპარაკე შოშიები, ჯაფარები, თუთიყუშები და კაჭკაკები, ? ვრამ მაინც მათი გონიერება და მსჯელობის ნიჭის ქონება არა მტკიცდება. ჩამოთვლილი ფრინველები ლაპარაკს ეჩვევიან კაცის გავლენით, კაცის დახმარებით და მაგალითით, იმ დროს, როდესაც სცხოვრობენ კაცთან და არა ტყე-მინდვრებში თავისუფლების დროს. თუ მეტყველება მარტო ადამიანის სულიერი ბუნების განსაკუთრებულ კუთვნილებას არ შეადგენს, მაშინ თავისუფლად იბადება კითხვა, ადამიანს ვილამ გაუწია პირველში საჭირო დახმარება, ვისგან დაისწავლა ლაპარაკი, როგორ მოახერხა, რომ სტვენიდან, ღრინიდან და ბღავილიდან გადავიდა სიტყვაზე? მეორე — თუ სიტყვიერება ბუნებრივია ჩამოთვლილი ფრინველებისთვის, რატომ არ ვითარდებიან იგინი ლაპარაკში, რატომ მცირე ნაბიჯს მაინც არის არ გადასდგმენ ხოლმე წინ და თავისით არაფერს არ უმატებენ მას, რასაც ითვისებენ კაცისგან? საკმარისია ბოვშმა სძლიოს პირველი დაბრკოლება, წარმოსთქვას რამენაირათ პირველი სიტყვა, თუ გინდ მშობელის სახელი, და, მერე, მას უკვე ამოდგმული აქვს ენა, რატომ ამისი მსგავსი რამ არ ეჩნევათ ჩამოთვლილ ფრინველებს? თუ მათ ესმით მეტყველების მნიშვნელობა, რატომ თავიანთ ცოდნას არ გადასცემენ ტყე-მინდორში მცხოვრებ თუთიყუშ-შოშია-კაჭკაჭებს? რატომ, მსგავსად ადამიანისა, არ იძლევიან მოლაპარაკე ჩამომავლობას?

იმიტომ რომ მათთვის შემოქმედს არ მიუ-

არის სიტყვა. არც ერთ თუთიყუშს, არც ერთ შოშიას, არც ერთ ძაღლს და მაიმუნს თავის დღეში არ დაბადებიათ რაიმე აზრი, რაიმე იდეა და ამის გამო არც სიტყვა დასჭირებიათ. გაწვრთნილი შოშიები და თუთიყუშები ლაპარაკობენ მანქანებრივი წაბაძულობით, მრავალჯერ ნახულის და გაგონილის გამეორების ინსტიკტურ უნარით და არა ადამიანისავით შეგნებისა და მსჯელობის გამო.

მეცნიერება, თანახმად სალმრთო წერილისა, არ იცნობს სრულებით ენო, უმეტყველო კაცს. შესანიშნი მკვლევარი მეტყველებისა მაქს მიულერი მოგვითხრობს: „კაცი დღეს მეტყველობს და ჩვენ არ ვიცით ისეთი ერი, რომ მას არ სცოდნოდეს ლაპარაკი, პირუტყვებგან კი არც ერთს არასოდეს სიტყვა არ უთქვამს. ენა არის ჩვენი რუბიკონი და ვერც ერთი პირუტყვი ვერ შესძლებს მაზედ გადაბიჯებას. ეი ჩვენის მხრით ფაქტიური პასუხი იმ პირებთათვის, რომლებიც ბჭობენ ცხოველთა განვითარების შესახებ და სჯერათ, ვითომც კაცის თვითეული ნიჭის ნასახი მაიმუნშიაც აღმოაჩინეს, ვითომც კაცი იყოს მხოლოდ გაკეთილშობილებული ცხოველი, არსებობისთვის ბრძოლის ველიდან გამარჯვებულად გამოსული გმირი. ენა უფრო ცხადი და თვალსაჩინო საბუთია, ვიდრე ტვინის ნაკეცები და განსაკუთრებული მოყვანილობა თავის ქალასი. ენას არ ესაჭიროება არაგვარი ზღაპრული ოცნება და სოფისტური ხრიკიანობა. „ბუნებითი განწყობილების“ ვერც ერთ პროცესს ვერ შეუძლიან აღმოიკითხოს ფრინველების გალობაში ან თუთიყუშის ძახილში მნიშვნელობის მექონი სიტყვები“.

„ჩვენი გულწრფელი რწმენითო, ამბობს შედარებითი ფილოლოგიის მნათობი გუმბოლტი, სიტყვა თანამედროვეა კაცისა, ე. ი. კაცი თუ იყო ოდესმე, მასთან ენაც იყო“. ამავე აზრებს შეხვდებით ჟანჟაკ რუსსოს, ბერიშისა, ვასმანისა და სხვების ნაწერებში.

მაგრამ, დახეთ ჩვენს ბედნიერობას! თურმე ეს საკითხი თავისი ხუთი თითივით შესწავლულ გამოკვლეული ჰქონია და ჩამოთვლილი მეცნიერები მთლათ მიწაში ჩაუძვრენია ჩვენს თანამემამულეს, „ეროვნული საკითხები“-ს ავქსონს! არა გჯერათ?! გადახსენით ეს ხელისხელ საგოგმანებელი ობოლი მარგალიტი და დასტკბით. „ექვს გარეშეა, ძველის დროის ადამიანმა ლაპარაკი არ იცოდა და თავის სურვილებს და გრძნობას იმ გვარად გამოხატავდა პოლმე ყვირილით და გარეგნული ნიშნებით ანუ მიჰიკით, როგორც დანარჩენი ცხოველები“...!

ისევ შენ გადასწყვიტე, პატიოსანო მკითხველო, მეცნიერებაა ესა ცნობილი ექიმის მხრივ, თუ გონების დაშრეტა და სრული დაბრმავება მისი.

სეფეველელი.



გაგონილი იგავ-არაკი.

(ვუძღვნი „იმას“).

ერთ მეფეს დიდებული ბაღი ჰქონდა და, რა თქმა უნდა, შესაფერი მებაღეც ჰყავდა ბაღში, განსაკუთრებით, ერთი კაშლის სე იდგა, რომელიც მეფეს მთელ ბაღს ერჩია და მებაღესაც ეკალებდა მისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია. მებაღეც ამ მცენარეს ისე უვლიდა, როგორც თვალის ჩანს, მაგრამ დახეთ მის ბედსა, როცა კაშლმა მწიფობა დაიწყო, ვიღაცამ ხიდან ქურდობა დაუწყო. რომ ვერა გაუგიდა-რა, მებაღემ მეფეს მოახსენა: „დიდებულო სელმწიფეო! მომისაკვეთ რაც სასჯელი მეკუთვნოდეს. კაშლზე ქურდი დამეჩვა, არც კვნა, არც ნადირი და ვერც მის კვალს მიეკვენო.“ მეფე შეწუხდა, მაგრამ არ გაურისხდა; უთხრა მხოლოდ: „არაფერია, არ შერჩებაო.“

მებაღეს შეუმსუბუქდა მწუხარება, მაგრამ, რაც დღე გადიოდა, იმდენით მეტ სამწუხარო სურათს უეურებდა. აგერ ხე ხეოფთისაკენ (ბარიელდებოდა და ჯერ ვიდეკ ერთი მწიფე კაშლი ვერ მიერთმია მეფისთვის. „მოდი ამას დაეცდარაჯებ და, რაცგინდ მომეიდეს, გაეიგებ მაინც ვინაა ეს თავხედი ავაზაკეო,“—იფიქრა მან ბოლოს. მოიმარჯვა ხელში თოფი, ერთ მთვარიან ღამეს და ამოეფარა ნირგეს. შუაღამეზე გაღასულს, ვნახოთ, მოეერინდა რაღაც ფრინველი: არც უკვია, არც ეორია,—რაღაც არარეულია და დაუწყო მწიფე კაშლს კორტნა და ულაბ-

ჯ. მებაღემ დაუმიზნა თოფი და ის იყო, უნდა ამოელო მტერი მიზანში, უცბათ შენიშნა, რომ დიდ—ვეებერთელა გველი შემორტყმია სეს და ლაბობს ფრინველს მიეპარება. „შერცხვეს ის მებაღე, ვინც ამას არ უყურია“,—გაუელვა მებაღეს ფიქრმა და ჩამოუშვა თოფი. გველი ატოტდა სეზე, მიეპარა ჩიტ-ნადირს, დაიწვარა, მოკლა და გადმოაგდო ძირს.

გასარეულმა მებაღემ, მეორე დილას მიირბინა მეფესთან და ყოველივე მოახსენა.—„ეს კარგი, მაგრამ არც გველს შერჩებაო,“—ბრძანა მეფემ.

დადგა თიბვის დრო. აღში სათიბიც ბევრი იყო. მებაღემ გაღვსა ცელი, ასხენა ღმერთი და დაიწყო თიბვა. თურმე ველსაც იქ ჭმონოდა ბინა, მაგრამ ვაი რას მოელოდა ბედკრული, რომ მისი უკანასკნელი წუთი მოახლოებულ იყო. უცებ საშართებელიეთ ცელმა გაიალაბლაბა მის კისერსე და თავი ტანს ერმოდენიმე საჟენით მოაშორა. მებაღეს მოაგონდა მეფის სიტყვა, საღამოს ესლა და მოახსენა, რომ მეფის სიტყვა გელზე შესრულდა.

„არც შენ შეგრჩებაო,“—უბრძანა მეფემ გულდაწყვეტილ მებაღეს.

მებაღემ სიფრთხილეს უმატა. ის ყოველ ნაბიჯს სთელიდა და თითოეულ სიტყვას ანგარიშს აძლევდა, მაგრამ ხომ არ შეეძლო მოსვლა აცდინა? ერთ სიცხე-ბაბანაქება დღეს, მებაღეს გაგრილება მოუნდა. მეფის ბანოტ ასლო იყო.—„როგორ წარმოვადგინო, რომ ამ შუადღისას მეფე ბაღში გამობრძანდებაო“. — იფიქრა გასურებულმა მებაღემ და გადაშვა ციგ-ანკარა წყაროს ბანოში, რომელშიაც მეფეს სადამოობით უყვარდა ბანაობა.

ნებიერ მეფეს, ნასადილევს გასეირნება მოუნდა, მან დედოფლის თანხლებით მოაარა ბაღი, ინახულა ბანოტ და თავზე წაადგა შიშველ-ტიტველ მებაღეს. მეფე-დედოფალმა იბრუნეს პირი და განრისხებულმა მეფემ კვლნიერ მებაღეს ჩამოსრჩობით სიკვდილი გადაუწყვიტა.

მეორე დილას შესაფერ სალათ ჩაცმული, შეკრულ-შებარკული მებაღე მიიყვანეს დანიშნულ სკეტთან და წაუკითხეს განაჩენი. სტოდაკვმა მებაღემ სანაზარული ღრიალი მორთო: „ეს ამოდენა ხანი ერთგულად კემსახურე მეფეს, არც ნდობა დამკარგია და არც საყვედური დაშიმსახურნია, გუშინ-კი შეკცდი მწარედ, კარ ღირსი სასჯელისა და არც ვითხოვ განთავისუფლებას, მხოლოდ ორიოდე სიტყვა მაქვს შეფესთან, მაშვამდგომლეთ, მოიკონოს ჩემი ერთგულება და ნება მომცეს ცოტა რამ მოკახსენოთ.“ მეფეს მოახსენეს ეს გარემოება.—„მომგვარეთო,“—ბრძანა მან.

„დიდებულო და ქვეყნის მპყრობელო სულმწიფეო,—მოახსენა მებაღემ,—მე ვიყავი შენი ერთგული ქვეშეერდომი, აწ შემცდარი და ჩამოსრჩობის ღირსი. არ ვითხოვ განთავისუფლებას, მხოლოდ მოგაგონებ შენს სიტყვას: როცა კაშლს ვიღებ მპარავდა, მოგახსენეთ და „არ შერჩებაო“—მიბრძანეთ. ყოფილიყო ფრინველი, არც შერჩა და გველმა შესჭამა.—„არც გველს შერჩებაო,“—ბრძანეთ;—არც იმას შერჩა და თავი წაეკარი.—„შენც არ შეგრჩებაო,—მიბრძანეთ;—არც შემრჩა; დღეს მოიყვანებენ სასრულეში შენს განაჩენს—ჩამოსაკრჩობენ, მაგრამ არც შენ შეგრჩება, იცოდე მეფეო“—გაბედულად მოახსენა მებაღემ...

იცოდეთ, რომ არც თქვენ შეგრჩებათ, ბატონო „იმას“, რაც გინდ თავი ფრთხილად დაიკავოთ.

კირილე წუთისოფელი.



შეუძლებლობა სოციალიზმისა.

კარი პირველი

განხილვა ზოგიერთ წინასწარ საკითხთა.

§ 2. საფუძვლები მომავალ სახელმწიფო წყობილებისა.

(კატრეინიდგან).

(გაგრძელება.*)

2. სოციალ-დემოკრატული პარტიის პროგრამა შეიცავს სოც. დემოკრატიის დიდ მოძღვრების აზრებს. მოვიყვანოთ აქ დამახასიათებელი ადგილები, რომლებიც ამას ეხებიან „კა-

*) (იხ. შინ. საქ. № 27).

პიტალიდან". აქ ის, პირველად ყოვლისა, მოითხოვს საზოგადოებრივ საკუთრების უფლებას ყველა საწარმოო იარაღზე, საზოგადოებრივ მიკუთვნის სწორ წესიერებას, ანუ როგორც ის ამბობს: „სიმრავლეს ინდივიდუალურ ძალებისას აქვს შეგნება, როგორც ერთს საზოგადო სამუშაო ძალას". შემდეგ ის ამბობს: „მთელი ნაყოფი საზოგადოებრივ წარმოებისა არის საზოგადოებრივი ნაყოფი. ნაწილი ამ ნაყოფისა შედის წარმოების იარაღთა წყებაში; ეს ნაწილი რჩება საზოგადოებრივ საკუთრებად; მეორე ნაწილი, როგორც მოსახმარი საშუალება, უნაწილდება საზოგადოების წევრებს. წესი განაწილებისა შეიცვლება ხოლმე საზოგადოებრივ საწარმოო ორგანიზმის ხასიათის მიხედვით და შეთანხმებით მწარმოებელთა განვითარებასთან. როგორც შეეფარდება საქონლის წარმოებაში საქმის დაყენებას, ჩვენი აზრით მოსახმარ საშუალების ნაწილი თვითეული მწარმოებლისთვის დანიშნული იქნება მის სამუშაო დროზე მიხედვით. სამუშაო დრო, ამ რიგად, ორ რიგს ითამაშებს. საზოგადოებრივ-ზომიერი განაწილება მისი (სამუშაო დროსი) აწესრიგებს სხვა და სხვა სამუშაო ფუნქციების სწორე შეზომილებას სხვა და სხვა საჭიროებისათვის. მეორე მხრივ, სამუშაო დრო არის ზომი იმ მონაწილეობისა, რომელიც მიიღო ამა თუ იმ მწარმოებელმა საზოგადო მუშაობაში და აგრეთვე უნიშნავს იმ ნაწილის რაოდენობას, რომელიც მწარმოებელს ერგება გასაყოფი საზოგადო ნაყოფის ნაწილიდან.

რომ ფრ. ენგელსი ამ შემთხვევაში სრულიად ეთანხმება მარქსს, ეს ცხადი იქნება თუ ყურადღებას მივაქცევთ მის ხანგრძლივს დაახლოებულს ურთიერთობას მარქსთან; გარდა ამისა, ეს ცხადად სჩანს მის თხზულებათგანაც. თანახმად გამოხატვისა განვითარების პროცესისა, რომელიც უნდა დასრულდეს ახალ საზოგადოებრივ წყობილებაზე გადასვლით, საზოგადოება აუქმებს საქონლის წარმოების წესს „წარმოების იარაღის ძალდატანებითი წართმევის უფლებით." წარმოების ანარქია, რომელიც გამეფებულია აწინდელს საზოგადოებაში, გაუქმებული იქნება მოფიქრებული, სწორზომიერი ორგანიზაციის მეოხებით, „წარმოების საზოგადოებრივ—ზომიერი გარიგებით, თანახმად მთელი საზოგადოების და აგრეთვე თვითეული ცალკე წევრის მოთხოვნილებისა. წესი წარმოებისა, მითვისებისა და განაწილებისა შეთანახმებული იქნება წარმოების იარაღის საზოგადოებრივ ხასიათთან." წარმოების იარაღის მითვისება სპობს არა მარტო აწ არსებული წარმოების ხელოვნურ დაბრკოლებათა, არამედ იმ ვე დროს, საწარმოო ძალების და ნაყოფის გაფლანგვა-გატაცებასაც... იგი, შემდეგ, ათავისუფლებს საზოგადოებისავის მრავალს საწარმოო საშუალებას და ნაყოფს მითი, რომ სპობს აწ გაბატონებული კლასების უგუნურს ფანტიაობას. ეხლა შესაძლებელი გახდება, რომ საზოგადოებრივი წარმოების საშუალებით უზრუველყოფილ იქმნას საზოგადოების ყველა წევრთათვის არსებობა, რომელიც არა თუ იქნება სრულიად კეთილყოფილი ქონებრივად და ამ მხრივ დღითი დღე წარმატებაში წავა, არამედ თავდებიც იქნება მათი მოქალაქობრივი და სულიერ თვისებათა და ნიჭთა სრული განვითარებისა და განმტკიცებისა

ლიბკნეხტი თხზულებაში: „რა არიან სოციალ-დემოკრატები და რა სურთ მათ? სოც. დემოკრატების შესახებ ამბობს: „ძარს დაქირავებითი სისტემა! ეს ძირითადი მოთხოვნაა სოც. დემოკრიტიისა... ადგილი დაქირავებითი შრომისა ერთი კლასის ბატონობით მეორეზე უნდა დაიჭიროს საზოგადოებრივმა შრომამ (კოოპერატიული წარმოება). შრომის იარაღი აღარ უნდა იყვეს ერთი რომელიმე კლასის ხელში, უნდა გახდეს საზოგადო საკუთრებად. აღარ უნდა იყვნენ ექსპლოატატორები და დაჩაგრულები. გაწესრიგება ნაწარმოებისა და განაწილება საზოგადოების სასურველად... გაუქმება თანამედროვე ვაჭრობისა, რომელიც მხოლოდ მოტყუებაა. ყველა მუშებმა ერთნაირად უნდა მიიღონ მონაწილეობა მთელი საზოგადოებისთვის საჭირო საქმის წარმოებაში; ამას მოითხოვს ყველას თანასწორობა. სამუშაოს მიმცემთა და მათ... დაქირავებულ ქონათა აღგილზე... თავისუფალი ამხანაგები. შრომა არ არის ტანჯვა, რადგანაც იგი ყველას ვალია.

კაცის ღირსების შესაფერი არსებობა ყველასათვის, ვინც ასრულებს თავისს მოვალეობას საზოგადოებისაკენ... და რომ ყოველივე ეს მოხდეს, უნდა იქოს სახალხო სახელმწიფო, სახელმწიფო ყველასი და ყელასთვის; სახელმწიფო, რომელიც იქნება გონიერად და სამართლიანად მოწყობალი, დაწესებულება, რომელიც თავდები [illegible] ყველთაო ბედნიერებისა და განათლებისა; ძმური კავშირი თავისუფალი და თანასწორი ხალხისა. [illegible] ს. დემოკრატიას, ამბობს იგი შემდეგ, სურს წესიერება,... მშვიდობა და ჰარმონია ინტერესებისა, გაუქმება კლასებისა, [illegible] სურს საკუთრება თვითეულისათვის... სურს უზრუნველყოს მუშისთვის საზოგადოებაში სრული ბედუბავება ინდივიდუუმისა... სრული თანასწორობა პოლიტიკური და სოციალური, თანასწორობა სქესთა.

არსებითად ასეთივე ვეგმები გვხვდება ჩვენ ყველა სოციალდემოკრატების ნაწერებში, რომელთაც ოდესმე გამოუთქვამთ რამე თავისი მიზნების შესახებ, სახელდობრ ბებელის, შტერნის, ატანტიკურის, კაუტსკის, ფოლმარის, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ „ჩვენს სპეციალურ თეორეტიკად", პოლერისა, ვეილგერტისა და სხ. ნაწერებში. თუმცა ბებელი მხოლოდ თავისს პირად შეხედულებას გამოხატავს, მაგრამ იმ [illegible] ავტორიტეტის გამო, რომელიც მას აქვს სოც. დემოკრატულ წრეებში, შეგვიძლია ჩაეთვალოთ იგი გერმანელ სოციალდემოკრ[illegible] უმეტესი ნაწილის შეხედულობის გამომიქმელ[illegible] [illegible]ლგანაც სოც. დემოკრატულ[illegible] [illegible]ის გეგმების განხილვის დროს ჩვენ მოგვიხდება ებელთან დაბრუნება, ამიტომ გამეორ[illegible] [illegible]ლად, ჩვენ აქ ალარ მოვიყვან[illegible] მისს შეხედულობას.

დასამტკიცებლად ჩვენი დასკვნისა სოციალისტური მომავლის [illegible] შესახებ, ჩვენ შეგვეძლო კიდევ [illegible] [illegible] [illegible]

სუფალს და დამოუკიდებელს მოსახლობის მხრივ და აქვს სათემო საკუთრება, მაშინ იბადება საკითხი: მიეცემა მის ყველა წევრებს ერთი თემიდან მეორეში თავისუფლად გადასვლის ნება თუ არა? თუ ნება არ მიეცათ, ეს ხომ ფორმული მონობა იქნება ეხლანდელი თავისუფლების მაგიერ; თუ მიეცათ ნება, მაშინ თემში შეუძლებელი იქნება შრომის წესიერად [illegible] წილება, რადგანაც ვერ შეიძლება გაგება რავდენი სამუშაო არის საქმის გასაკეთებლად. კარგად მოწყობილი თემები მეტის მეტად გავსებული იქნებიან მუშებით, სხვები კი პირიქით ნაკლებად.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, შეიძლება, ცალკე თემებმა ვერ შესძლონ რომელიმე ნაყოფის იმდენის შემუშავება, რაც საჭიროა მათთვის და ამიტომ იძულებული იქნებიან ვაჭრობა გამართონ ან მეზობელ თემებთან ან საზღვარ გარეთ. არ გამოიწვევს განა ეს თემთა შორის გამწვავებულს ჩხუბს და საზოგადო მუშტის უფლების აღდგენას? იქნება ამან იქამდინაც მიგვიყვანოს, რომ მდიდარი და ძლიერი თემები მოიპოვებენ უმეტეს პოლიტიკურს მნიშვნელობას და შეიძლება დემოკრატიამ არისტოკრატიაც შესცვალოს? მართალია ანარქისტები ლაპარაკობენ თემთა [illegible] შირზე, ფედერაციაზე. მაგრამ თუ ცალკე თემები დამოუკიდებელნი არიან ეკონომიურად და აქვთ კერძო, ე. ი. სათემო საკუთრება დიდ ხანს გასძლებს განა ამ გვარი კავშირი? როგორც ძველს საბერძნეთში თემები ერთმანეთთან სასტიკს ბრძოლას დაიწყებენ პირველობისთვის და ბოლოს ძლიერები დაიმონებენ სუსტებს. ვიდა იქნება, შემდეგ თემთა შორის საკუთრების გამყოფი? განა ყველანი კმაყოფილნი იქნებიან გაყოფით?

ამიტომ, ვფიქრობთ ჩვენ, სერიოზულად გასახილველი არც კი არის ის ორგანიზაცია, რომელშიც ცალკე თემები დამოუკიდებლად ფლობენ სათემო საკუთრებას. მართლაც და სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენელნი არც კი ფიქრობენ ამ გვარად დაქსაქსონ ნაციონალური ეკონომიური ცხოვრება მათი აზრით, სოციალისტური სახელმწიფო იქერს ეხლანდელი სახელმწიფოს ადგილს, ხოლო ეხლანდელი მონარქებისა და მინისტრებისას ხალხისგან არჩეული მთავარი კომიტეტი, [illegible] კისრულობს ეკონომიური ცხოვრების გაგებას. მაგრამ ენგელსს, ბებელს და სხვა სოციალისტებს არა სურთ, რომ ხალხისგან არჩეულებს ერქვათ მთავრობა, ან საზოგადოდ სახელმწიფოზე იყოს ლაპარაკი. ერფურტის პროგრამაში ბეჯითად მხარს უჭერენ სიტყვის „სახელმწიფოს“ ხმარებას. ფიქრობენ, რომ მთავარმა კომიტეტმა მხოლოდ უნდა გამოხატოს გეგმა და აამოძრაოს საწარმოოვ მანქანა, შემდეგ კი იგი ფართოდ გავრცელებული თავის თავად იმოძრავებს სამაგალითო წესით. მაგრამ შესაძლებელადაც რომ ვსცნათ ეს შეუძლებელი განზრახვა, მაინც სამართლიანია ის, რომ მიზანშეგნებული სოციალისტები მიისწრაფიან ცენტრალისტური ორგანიზაციისკენ, აწინდელი სახელმწიფოს ტოლ შეერიებულ თავისუფალ საზოგადოებისკენ, ამისთანა ზოგადი ცხოვრემა კი არის სახელმწიფო.*)

ამიტომ, ჩვენ გვგონია, შეფლი მართალია, როცა ამბობს: ერთად ერთი გონიერი წარმოსადგენი სოციალიზმი არის და იქნება ცენტრალისტურად მოწყობილი, საზოგადო დასადემოკრატიის განსაკუთრებული [illegible]ოლექტიური ნაწარმოები. სოციალისტური წარმოება, (ჩვენ ამას მტკიცედ ვამბობთ) დაეფუძნებული აუცილებლობით არის წარმოება შეერთებული დახშული. როგორია ფორმა ამ შეერთებულობისა — თვითმმართველობა თუ დემოკრატიზმი, ცენტრალიზაცია თუ ფედერაცია, ეს შეიძლება იქითაც გადავდოთ. სოციალისტი პრინციპიალურად მტკიცედ შორს უნდა უჭერდეს შეერთებულ საზოგადოებრივი ფორმის აუცილებლობას. საწარმოოვ პროცესის შეერთებას. ინდივიდიალისტური კონკურენციის ანარქია, სოციალისტების აზრით, არის წყარო ყოველივე ბოროტებისა, სიყალბისა,

*) ენგელსი სახელმწიფოთ გულისხმობს „რეპრეზენტიულ სახელმწიფო მართველობას, რომელიც მიმართულია მხოლოდ გაბატონებულ კლასთა [illegible]ბლოდ. თუ სახელმწიფო და სახელმწიფო მართველობა ერთი დაიგვეგ, მაშინ სრულს დემოკრატიაში სულ შეტია ლაპარაკი სახელმწიფო მართველზე.

უწესობის, ექსპლოატაციისა, უსამართლობისა აწინდელს დროში. სოციალისტური სახელმწიფო მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როცა ის სოციალური წარმოების იარაღს შეუერთებს კაპიტალის საზოგადო ფლობასაც.“

ფრ. გიტკე მომავალი სოციალური სახელმწიფოს შემდეგს სურათს იძლევა: „სახელმწიფო არის ერთად ერთი მეაკუთრე შრომის ყველა იარაღისა, მთელი დედამიწისა, ფაბრიკებისა, გზებისა, ხელსაწყოსი, შეიძლება შკოლებისაც და სხ. სათავეში სდგას სრულიად დემოკრატული მართველობა, რომელსაც ყოველს ორს წელიწადში ირჩევს ხალხი; ის შეადგენს კომ-ტეტს, შესაძლოა თავმჯდომარის მეთაურობითაც. ეს კომიტეტი განაგებს მთელს სახელმწიფოს; მისი მოქმედება არის არა მარტო პოლიტიკური (სჯულმდებლობა, ადმინისტრაცია, იუსტიცია), არამედ საკუთრად ეკონომიურიც (გაწესრიგება წარმოებისა, განაწილებისა, მოხმარებისა, საზოგადოდ მაინც, როგორც მაგ. რავდენი მოსახმარი მასალა უნდა გამოიყოს, შენახულ იქმნას წარმოების საჭიროებისათვის). ცალკე ოლქებში ამ საქმეს ყურს უგდებენ მცირე კომისიები, განყოფილებები, რომლებიც შეერთებულ არიან უმთავრეს კომისიასთან, უმაღლეს სამართველოსთან. ამ უმაღლესს ცენტრულ სამართველოს ექვემდებარეშიან პროვინციული, საოლქო სამართველოები, ამათ აქვთ იგივე მიზნები თავის ოლქებისთვის, რაც ცენტრული სამართველოს მთელი სახელმწიფოსთვის.

ამ სახითვე გვიხატავს მომავალს სოციალისტურს სახელმწიფოს ად. ვაგნერი; „თუ სოციალისტებს სურთ წესიერება მათ არ შეუძლიანთ ცალკე ამხანაგობებს მისცენ საკუთრების უფლება კაპიტალზე, აგრეთვე მიწაზედაც ნაციონალური კაპიტალის შესადგენად, საანგარიშოდ და დასახარჯად უნდა გამოდიოდეს ერთი ცენტრული ადგილიდან ცენტრალისტური გაწესრიგება ან სავალდებულო კანტროლი მაინც ცენტრული დაწესებულებიდან; კაპიტალი და მიწა კი უნდა საზოგადოების საკუთრება იყვეს“.

რ. მეიერი აღნიშნავს, როგორც სოციალიზმის ძირითადს მოთხოვნას: „საამხანაგო წარმოება გაწესრიგებული და მოწყობილი სახელმწიფოს მიერ“.

ნაცარყანელი.

(შემდეგი იქნება.)



განშორებული.

—

შენ სიყვარულით ვერა, მზეო, ვერ აღვიგ-
ზნები!
როს შუქ-მფინარე აღმოსავლეთს აღმობრწყინ-
დები,
რა აზრია, რომ გავაღმერთო შენი სხივები,
თუ ბნელსა ღამეს ისევ ჩახვალ, ჩაედინები?!

—

და შენცა თვალთა წარმტყვენელო ტურ-
ფა ბუნებავ,
როს ათას-ფერად აყვავდები, გაიფურჩქნები
რად ჰხადი, ხიბლავ და იზიდავ ჩემს ყურად-
ღებას,
მოსვლის უმალვე თუ თავს დახრი და განიხრ-
წნები?!

—

ამაოდ ვფიქრობ ნეტარებას; — დღე-და-
ღამ ვეძებ,
მაგრამ ყოველთვის და ყოველგან შრომა ფუ-
ჭეა:
ნაღველი არის, რაც სდის მიწის ბნელ გული-
დანა,
წუთი-სოფელი მისი ძირი და საუნჯეა.

—

გულ-საამოს ლაყვარდოვან ცისა კამარას
კვლავ ეფინება სევდის მომგვრელ შავი ღრუ-
ბელი,
და საა^ურათ გაფურჩქვნილსა იასა და ვარდს
უდროოდ ახმობს შუადღის სიცხე სულ-შემ-
ხუთველი.

—

როს სადმე მესმის ჩანგის ჟღერა, იკვრის
სიმები
მე მინდა მაშინ, რომ ვიტირო, ცრემლები
ვღვარო,

თითქო მისი ხმა გულ-წარმტაცი და მშვენიერი
მეუბნებოდეს წინდაწინვე, წამსელელი ვარო.

—

და ეს მსოფლიოს სიტურფე და მწყობრი გალობა
გაჰქრის ჩემ წინა, ვით აჩრდილი პირველ საბისა,
როგორც მოწმე და მკრთალი ხატი, მაუწყებელი
წარსულთა ქმთა და მერმისის, მომავალისა.

—

ამ მომავალის მოიმედე თავშემწირველი
[illegible]ვისწრაფვი, დედამიწავ, შენს უბიდგანა
და ნუ მიზიდავ, ნულარ მეძებ! რაზე მიძახი?
შხამია ჩემთვის შენი ძუსუ და შენი ნანა.

—

დეე იმ ძეთა ინავარდონ მაგ შენს უბეში,
რომელთაცა შენ ჯადოს ქვეშე დასძინებიათ,
ჰეჰა-ქუხილით და შერისხვით წინ მომავალი
არლარა ახსოვთ და ყოველი დავიწყებიათ!...

ონოფრე მწირი.



გუშაგნი ქართველი ლიტერატურის მსახურებელს, საყვარელ მგოსანს

აკაკის.*)

უზენაესის ზეგარდამო ნიჭით ცხებულო!
ქართულ მწერლობის წინამძღოლად მოვლინებულო:
ჰეშმარიტად პოეზიისთვის დაბადებულო;
ჩვენ საკეთილდღეოდ კეთილ გზაზედ დაყენებულო;
სამშობლო ენის სიყვარულით გატაცებულო;
ყოველ საქმეში დინჯო, ბრძენო გულდადებულო;
აწმყოთი არა, მომავალი იმედებით გატაცებულო;
ჩაგრულ სამშობლოს და ერისთვის თავდადებულო;
ქართველთ მგოსანო, ნიჭით საესე ყოველად შემკულო;
ვარსკვლავო მნათო, იერთ დიდებავ და სიქადულო;
ჩვენო სახელო, მამულის შვილო ყოვლად ქებულო;
ამერ-იმერთა პუშკინ-მგოსანო და დიდებულო;
დატრფი სამშობლოს ენა-ტკბილო, განათლებულო;
ყველა მგოსნებთან უპირატესო, აღმატებულო;
მრავალი შრომით, ხსოვნებით გაჯილდოებულო;
თანამოღვაწე ილიასგან დაობლებულო,
მაგრამ სამშობლოს სიყვარულით გამხნევებულო;
გულწრფელი ერის პატივისცემით დაფასებულო;
ბევრის შნახველო და ბევრის მომსწრე, დაფიქრებულო;
მწარე და ტკბილი ფიქრებ-ოცნებით აღჭრელებულო;
და იმავე დროს სულგრძელებით დამშვიდებულო;
სიტყვა-პასუხში მჭერ-მეტყველო და მოსწრებულო;
მშობელი ქვეყნის დიდო მოდვაწე წარმატებულო;
ჭირში და ლხინში თანამგრძნობო გამარჯვებულო!...

—

ამ ნახევარსა საუკუნეში
შენ გაგვიწელდე გზა და ხიდია:
წინ უძღვი მშობელ ლიტერატურას
და შენი შრომა მეტად დიდია.

—

ყველა პატივს გცემს, ყველა გაფასებს.
შენი სურათი ყველგან ჰკიდია,
მტკიცედ დარწმუნდი, დიდო მგოსანო,
რომ შენს ქებაში არ ვართ ფლიდია.

—

ეს ნახევარი საუკუნეა
დამლერ სამშობლოს ტკბილის ხმებითა;

---

*) ვბეჭდავთ ამ ლექსს უცვლელად, რადგან იგი წარმოადგენს მოწინავე მამულიშვილისადმი გულწრფელ სიყვარულს.

სამშობლოს ამკობ ტკბილის ლექსებით,
ჩანგ-ქნარს აჟღერებ ტრფიალებითა.

—

ადვილი ენით დაგვისურათე
ქართველი ხალხის სულის კვეთება...
ვაშა, მგოსანო, რომ არ მოგწყინდა
მედგარი ბრძოლა, საქმის კეთება.

—

ცხოვრების ჩარხის ცუდმა ტრიალმა
ვერ დაგიმონა, მგოსანო ტკბილო,
შენმა მოთმენამ და იდეალმა
არ გიღალატა, მამულის შვილო!

—

გულწრფელი ლოცვით შეევედრები
ქვეყნის გამჩენსა, შემოქმედ ღმერთსა;
და მოგილოცავ სამწერლო შრომის
ორმოცდა ათსა ბედნიერ წელსა.

—

ჩვენს სანუგეშოთ, სასიქადულოდ
იცოცხალე კვლავაც მრავალჟამიერ,
რომ არ მოგვაკლო ტკბილი ლექსები
და გამხრნეო იმერ-ამიერ!....

მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.

30 ნოემბერი 1908 წ. დაბა ჭიათურა.

კვირიდამ კვირამდე.

სინოდის კონტორის უქაზისა მებრ ჟურნალ „შინაური საქმეების“ და „მწყემსის“ ცენზორობა მიენდო. ეპარქიალად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს გიორგის, თანახმად უკანასკნელის მოხსენებისა.

—

იმერეთის სამღვდელოების კრება დანიშნულია 10 დეკემბრიდგან. უმთავრესი საგანი კრებისა იქნება ახალი ჯამაგირების გაწესრიგება. თუ მარტო ფულის სიხარბემ არ გაიტაცა, სამღვდელოებას სხვა საჭირბოროტო და თავსაცემი საქმეც ბევრი აქვს. ასეთივე კრება გურია-სამეგრელოს სამღვდელოებისა დანიშნულია 8 დეკემბრისთვის.

—

ქ. ქუთაისის სამღვდელოებამ გადასწყვიტა, გაგზავნოს თბილისში თავის წარმომადგენელი აკაკის იუბილეზე დასასწრებლად, მაგრამ ცნობილ მიზეზების (?!) გამო ვერ მოახერხა თავის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

—

ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს განკარგულება მოუხდენია, რომ სამღვდელო კანდიდატები ფოთში არ მოემზადონ, რადგან ბევრი სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ხდება ამის თაობაზე. ნამდვილი ცირკულიარი ყოვლად სამღვდელოსი ამ საგანზე ბრძანებს შემდეგს: „დადიან ხმები, ვითომ ის პირნი, რომელნიც ემზადებიან სამღვდლო და სადიაკვნო ხარისხის ან მედავითნის თანამდებობის მისაღებად, დაუზოგავად იძარცვებიან საკრებულო ტაძრის წევრთაგან და თვით გამომცდელ კომისსიის წევრთაგან. ამიტომ ჩემი კანცელარია აცნობებს ბლაღოჩინების საშვალებით ეპარქიის ყველა დიაკონთა და მედავითნეთ, რომ მათ შეუძლიათ მოემზადონ სადაც უნდათ და ვისთანაც უნდათ, მხოლოდ ფოთს გარეთ და რომ ამის შემდეგ არავინ ფოთში მომზადებულთაგანი გამოსაცდელად არ დაიშვებიან.

ზნეობრივი გადაგვარება.

„ყოველსა, რომელსა აქვნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქვნდეს, და რომელმა იგი აქვნდეს, მოვეეღოს მისგან (მტ. თ. 25, მ. 29)

თუ, წინასწარმეტყველის დავითის სიტყვისა მებრ, მხოლოდ უგნურებს შეუძლიათ სთქვან გულში, „არა არს ღმერთიო“, მათზე უფრო ჭკვიანები არ არიან არც იგინი, რომელნიც ფიქრობენ მათ დაჯერებას ლოგიკური საბუთებით. სარწმუნოებისა და რწმენის საქმეში საბუთების მოთხოვნა უმადური და საეჭვო საქმეა. ეს იგივეა, ბრმას რომ რაფაელის მადონის გასაოცარ სილამაზეზე დაუწყო ლაპ

ოაკი, ან ყრუს ეჩიჩინო მოცარტისა და რასინის ნაზ მელოდიებზე. ბრმაც და მუნჯიც, შეიძლება სიამოვნებით დაგეთანხმონ, ერწმუნონ შენ სიტყვას, მაგრამ თითონ ვერ განიცდიან თქვენს შთაბეჭდილებებს, თავის გულში ვერ იგრძნობენ იმ მღელვარებას, რომელმაც შენ შეგძრა, დაგატკბო. ასეა სარწმუნოების საქმეშიაც. თუნდა დამამტკიცებელი საბუთების ბრწყინვალე გოდოლიც აუშენო, ურწმუნონი მაინც არ მოვლენ სარწმუნოებაზე. იგინი, შეიძლება, დაგეთანხმონ, რომ სარწმუნოება გონივრულია, მაგრამ თვით ვერ ირწმუნებენ. სარწმუნოების გონივრობის მიღება და რწმენა სულ სხვა და სხვა საგანია. მათ შორის, რაც შეადგენს სარწმუნოების საგანს და მოქმედებს აზროვნებაზე, და რაც შეადგენს გულის საგანს და მოქმედებს ნებაზე, დიდი დანახეთქია. შეგვიძლია დავეთანხმოთ პირველს და არ დავემორჩილოთ მეორეს: ხოლო რომ სრულიად ვირწმუნოთ, უნდა გვრწამდეს არა მხოლოდ გონებით, არამედ ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა.

ფილოსოფოსი ფიხტე ამბობს: ჩვენი აზროვნების სისტემა ხშირად არის მხოლოდ „ჩვენი გულის ისტორია“, ესე იგი ადამიანებს სურთ რაიმე ისე კი არა, როგორც ფიქრობენ, არამედ ფიქრობენ ისე, როგორც სურთ. ამიტომ ჩვენი რწმენა, ანუ ურწმუნოება უფრო ხშირად არის გამოხატულება ჩვენი ზნეობრივი განწყობილებისა. სწორედ ასე აუხსნა იესო ქრისტემაც თავის მოწინააღმდეგე—მწიგნობრებს და ფარისეველებს მიზეზი იმათი ურწმუნოებისა ქრისტეს ღვთაებრივ მოვლინების შესახებ. იმან უთხრა მათ: „თქვენ ქვეყნისაგანნი ხართ, ხოლო მე ზეცისაგანი ვარ; თქვენ ამა სოფლისაგანი ხართ, ხოლო მე არა ამა სოფლისაგანი ვარ, რომელი ღმრთისაგან არს სიტყვათა ღმრთისათა ისმენს, ამისთვის არ ისმენთ თქვენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან“. (იოანე 8თ. 23—47ბ.)

ზედმოთ წერილის სიტყვით მთელი ქვეყანა ბოროტებაში სძევს და ამ ბოროტებისაგან ქვეყნის ხსნის წამალი არის ქრისტიანობა. იესო ქრისტემ თავის სწავლით და ცხოვრებით გვიჩვენა გზა ამ საქვეყნო ბოროტებისაგან ხსნისა, და ვისაც უმძიმდებოდა ამ ბოროტების ტანი, ვინც ვერ ურიგდებოდა ცხოვრების არსებულ წყობილებას, ვინც მიისწრაფოდა ღვთის სიმართლის ამ ქვეყნად განხორციელებისადმი, ისინი ისმენდენ ქრისტეს სიტყვებს და კიდეეც ასრულებდენ მას. ხოლო იმათთვის კი, ვინც ამ ქვეყანაში გრძნობდენ თავს კარგათ, ან და იმედობდენ, რომ იმ საშუალებებით, რომელიც მათ ხელთ ქონდათ, მიიღწეოდა მომავლის გაუმჯობესობა, ქრისტიანობის აზრი გაუგებარი რჩებოდა. ასეთებისათვის ქრისტეს ქადაგება მუნჯური სიტყვა იყო, ვინაიდგან ისინი არ ხედავდენ იმ ბოროტებას, რომლისაგანაც ქრისტეს უნდა დაეხსნა ქვეყანა. არ ხედავენ და არც ეხლა ხედავენ ამ ბოროტებას, რადგანაც ისინი ამა ქვეყნისანნი არიან და მთლად შებოჭილნი არიან ამავე ქვეყნის სიავით, ამიტომაც არის, რომ იმათ არ სურთ ამაღლდენ იმაზე და უყურაუდონ ის.—მილიონობით ადამიანები (გატაცმბელი) ისე გატაცებულნი არიან ნივთიერ სიკეთის შეძენის (სურვილით) ზრუნვით, რომ არც კი აქვთ დრო დაფიქრდენ და ერთხელ მაინც კითხონ თავის თავს იმის შესახებ, თუ რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ ისინი თავის მოქმედებაში, მაღალია თუ დაბალი თვით ამ მოსაზრებების ღირსება; საზოგადოთ, რას წარმოადგენენ იგინი თავის [illegible] და როგორი მდგომარეობა უჭერიათ [illegible] საზოგადოებრივ, მოქალაქობრივ და სარწმუნოებრივ ცხოვრებაში, და ეს მდგომარეობა ცოტათი მაინც შეესაბამება თუ არა [illegible] ნილებებს, რომელიც თავის [illegible] გამოდის ადამიანის პირადობის იდეისაგან? ასეთი პიროვნები ჩვეულებრივად კარგავენ ხოლმე [illegible] უმაღლესი რიგის საკითხებისადმი, ამიტომ არც კი მიიჩნიათ ის საქმიანი ადამიანის ყურადღების ღირსად.

ისინი კი, რომელნიც ნივთიერად უზრუნველყოფილნი არიან და ყოველი საქმიანობისაგანაც თავისუფალნი, მხოლოდ გატაცებულნი არიან ცხოვრების კმაყოფილებისა და გარეგანი სიამოვნების მოპოვების სურვილით. იმათი წარმოდგენით თავგანწირული შრომა საზოგადო სიკეთისათვის მეოცნებეთა სიგიჟეა, და

ზნეობის უმაღლესი რიგის მოთხოვნილებანი კი მოქმედების თავისუფლების არა სასურველი შებოჭვაა. „ცხოვრება გიღიმებს,—ამბობენ იგინი,—გიზიდავს მისკენ, ნეტარების მოცემას გიპირობს, რის მაქნისია აქ დაღვრემილი და დაფიქრებული სახის გამომეტყველება, რაღაც საკითხები ცხოვრების აზრსა და მიზანზე? საჭიროა მხოლოდ ჯანმრთელობა და ცხოვრებისათვის მეტი საშვალება; იცხოვრე და აცხოვრე სხვებიც!“

ცხადია, რომ ასეთი შეხედულობის ადამიანებს არ შეიძლება ქონდეს გულითადი მისწრაფება ქრისტიანობისადმი, რომელიც იწოდებს კაცობრიობას, რომ მან მოუხეშავი და ცხოველური ბუნების თავმოყვარეობა უკუაგდოს და გაახორციელოს თავის თავში და მოყვასებში ღვთიური სიყვარული და სიმართლე. იმათ მთლად შეტო�ეს ქვეყნიურში და ზეციურზე არც კი ფიქრობენ. ქრისტეს ხმა ვერ უწვდება იმათ გულის სიღრმეს და ვერც ულვიძებს მათ უკმაყოფილებას თავის თავისადმი, ვერ იწვევს იმათში სურვილს თავის თავზე შინაგანი მუშაობისას. ისინი სულიერად არ იზრდებიან, და თუ სხეულები სულიერად არ იზრდებიან, ისინი აუცილებლად უნდა წახდენ. ეს ბუნების კანონია და ერთნაირად მოქმედობს როგორც ფიზიკურს. ისე სულიერ ქვეყანაში.

სულიერი ქვეყანა ინერციულია და უძრავი. ის უკვლელად რჩება, რადგან გარეგანი ზედმოქმედებისაგან დაფარული და თავისუფალია. ხხვა საქმეა ორგანიული ქვეყანა: ცოცხალი არსებანი მოძრავი არიან. ჯერ კიდევ ძველი დროის ბერძნის ფილოსოფოსი გეროკლიტი ასწავლიდა, რომ, როგორც ორჯელ არ შეიძლება შესვლა ერთ და იმავე წყლის შადრევანში, რომელიც მარ დ იცვლება და გადადის ჩანჩქერში, ისე არ შეიძლება ორჯერ, ე. ი. ორ სხვა და სხვა დროს ერთ და იმაეე სხეულში და მდგომარეობაში ყოფნა. „ჩვენი სხეულები—ამბობს ის,—ისე მიმდინარეობენ, როგორც მდინარეები. იმათში მატერია მარადის იცვლება ისე, როგორც წყალი ჩანჩქერში; მოძრაობს და იცვლება აგრეთვე ჩვენი ცნობიერებაც.“

სხეულში მატერიის და სულიერ ქვეყანაში გრძნობათა ცვალებადების გამო შეუძლებელი თუ არა, ძნელია მაინც იმის ცოცხალი სხეულები უცვლელად დარჩეს. იმათში ცხოვრება ან ზევით იწევს, ან ქვევით ექანება ხოლმე. სხეულები ან ვითარდებიან, იზრდებიან ან გადაშენდებიან და უფრო ცუდათ ხდებიან. აიღეთ, რომელიც გინდა მცენარე, ჯეროვანი და ხელშეწყობილი მოვლით შეიძლება გაუმჯობესდეს ისე, რომ ვერც კი იცნოთ: ფორმა, ფერი და ყვავილის სუნი სულ გადაუსხვაფერდება ხოლმე. ასევე ხდება ცხოვრებაშიაც. ინგლისში არიან შესანიშნავი ფრინველების მომშენებლები, რომლებიც სამი წლის განმაკლობაში მტრედის ფრთებს აძლევენ როგორიც უნდათ ფერს, ექვს წელში კი გადაუკეთებენ ხოლმე ნისკარტს და თავს. შესაფერი ცოდნისა და მეცადინეობის მეოხებით ისინი ფრინველს და ცხოველს თან-და-თან აუმჯობესებენ. პირიქით, როდესაც ცხოველებს და მცენარეებს საჭირო მოვლა მოაკლდება, ისინი აუცილებლად ფუჭდებიან, ვერაგად ხდებიან. ასეთია ბუნების საყოველთაო კანონი: შესაფერი კულტურის ზედგავლენით სხეული ვითარდება და უმისოდ კი გადაგვარდება ხოლმე. კულტურის ზედგავლენისაგან არც ადამიანია თავისუფალი როგორც თავის ფიზიკურ, ისე სულიერ არსებით.

განათლებული ევროპიელი რომ ნავთადანთქმის შემდეგ გაირიყოს უდაბურ კუნძულზე და იძულებული შეიქნეს, რომ თავის სხეულზე ვერ იზრუნოს რამდენიმე წელს, ის მაშინ გადაიქცევა ტლანქ ვილურად, შეიქნება ნახევარ ცხოველი ნახევარ ადამიანი.

ამნაირადვე, თუ ადამიანი მოკლებული იქნება საშუალებას იზრუნოს თავის გონების განვითარებაზე, ის გონებით დაეცემა, დაჩლუნგდება და ბოლოს მთლადაც ბეცად გახდება. ამის დასამტკიცებელ სამწუხარო მაგალითებს იძლევიან დიდხნობით განცალკევებით დატუსაღებულნი. ხსენებულ მიზეზის გამო ტუსაღები ხშირად სულელდებიან ხოლმე. ასეთი (გადამახინჯების) გადაგვარების პროცესი ხდება

აკლდა ჯეროვანი კულტურა. თუ განვირიდებთ ზნეობრივ მოთხოვნილებებს, თუ ყურს არ ვათხოვებთ სინიდისის ხმას, ჩვენ მაშინ გავხდებით ბიწიერ ადამიანებად, ვკარგავთ ყოველივე ზნეობრივ გრძნობას და რამდენიმე ხნის განმავლობაში კი ის მთლად ქრება ხოლმე ჩვენში. სულიერად ადამიანი არამც თუ არ გაიზრდება და არ განვითარდება, პირიქით, ის დაკარგავს უნარსაც მიიღოს ზნეობრივად მშვენიერი შთაბეჭდილებანი. ასეთი ადამიანი გვაძლევს ცხადი ვერაგის ტიპს, რომელიც თავხედათ ანადგურებს ყოველივე წმინდას. ყოველიფერი მაღალი, ჭეშმარიტი და ადამიანური აღმოიფხვრება, დარჩება მხოლოდ ბოროტი ცხოველი, აღშურვილი გონების ძალით და მეცნიერების ძღიერებით. მოციქული პავლე სრულიად კანონიერად და საფუძვლიანათ კითხულობს: „ვითარმე ჩვენ განვერნეთ, უკეთუ ესოდენი ესე უდებ ვყოთ ცხოვრება, რომელმან იგი დასაბამი მიიღო სიტყვად უფლისამიყო. (ებრ. 2 თ. 3 მ.)

ე. ჩ—ძე.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჯედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გამოყიდა და ისყიდება ავტორთან „შინაური საქმეები“ რედაქციაში

ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი . მოკლე საეკკლესიო ისტორია დეკ ბ. სმირნოვისა, საქართველოს საეკკლესიო ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი **60** კ., ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10 პროც. დაეთმობა.

აქვე ისყიდება წიგნაკი „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ ფასი **ოცი შაური.**

იყიდება დეკანოზის ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ გამოცემული წიგნები:

1, პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე. ეს წიგნი შესდგება ოთხი განყოფილებისაგან: ა) ლოცვები, ბ) ძველი და ახალი აღთქმის საღვთო ისტორია, გ) მოკლე კატესიზმო და დ) სწავლა ღვთის მსახურებაზე. ეს წიგნი მაღებულია უველგან სამრეველო სკოლებში და საერო დაბალ სარისხის სასწავლებლებში. ფასი 20 კაპ.

2, კაიაფას ვაჟიშვილი, ისტორიული მოთხრობა ქრისტეს დროიდგან; მასში ჯამოსტულია ამ დროის ებრაელთა ზნე ჩვეულება, შეიცავს 30 თავს, 247 გვ. ფასი 50 კაპ.

3, მესამე ოქრო, მტირე მოთხრობა კაცის სიხარბე-გაუმაძღრობაზე, ფასი 5 კ.

4, გზა ცხოვრებისა. მაგალითნი მოუკლნია სხვა და სხვა მაღალ ზნეობის კაცთა ცხოვრებიდგან. წიგნში არის §§ 69 და ღირს 30 კ.

5, მამა დავით გარესჯელის ცხოვრება ფასი 10 კ.

6, ცოლ-ქმრობა ფასი 5 კ.

7) ქრისტიანობა და დემოკრატია—ქრისტიანობა და სოციალიზმი. სათარგმნი პრაფესორ ანატოლ ლერუა ბოლიეს წიგნიდგან. ფასი 15 კაპ.

ეს წიგნები იყიდება თბილისში და ქუთაისში წიგნების მაღაზიებში. გარეშე ადგილიდგან წიგნების დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით:

Кутаисъ. Протоіерею Н. Кубанейшвили. წიგნის მაღაზიებს ან სოფლის მასწავლებლებს, კანც მათგანა ნაღდ ფულზე გამოიწერს არა ნაკლებ 10 მახეთის წიგნს, ეაეიმობა 20 პროცენტი. გაგზავნა მეადეკელის სარეკი.